ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1353919

ნომერი: AR1198507

თარიღი : 19.02.2014

გაცემის თარიღი : 26.06.2014

გაცნობის თარიღი : 26.06.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჭიჭინაძის ჩიხი N1 (ნაკვ.6/1) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოდერძი ბასილაძე პ/ნ 01029002262
- თბილისი, პატარძეულის ქუჩა №1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ტერიტორიაზე შესასვლელი გზისა და კარის ღიობის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–სამგორი, ჭიჭინაძის ჩიხი #1 (ნაკვ. #6/1)–ში, სს "კალასი"–ს კუთვნილ ტერიტორიაზე შესასვლელი გზისა და კარის ღიობის მოწყობას. განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.19.22.006.001; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, ქ. თბილისის მერიის სსიპ "ქონების მართვის სააგენტო"–ს გადაწყვეტილება #QN 1205423 09.06.2014 წ. საპატრულო პოკიციის მიერ გაცემული დანართები და გზის მოწყობის სქემები) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი–სამგორი, ჭიჭინაძის ჩიხი #1 (ნაკვ. #6/1)–ში, სს "კალასი"–ს კუთვნილ ტერიტორიაზე შესასვლელი გზისა და კარის ღიობის მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ: ტერიტორიაზე შესასვლელი გზის მოწყობა უნდა განხორციელდეს საქართველოს საპატრულო დეპარტამენტის მიერ გაცემული გზის მოწყობის სქემების მიხედვით.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge